აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგიერთი გეოგრაფიული პრობლემა და პერსპექტივები

გიორგი აბრამიშვილი

giorgi.abramishvili750@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, 0179, თბილისი, საქართველო

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას განსაკუთრებული გეოგრაფიული, ეკონომიკური და გეოპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქვეყნისთვის, არამედ კავკასიის მთელი რეგიონისთვისაც.

პრობლემატურია რეგიონის ადმინისტრაციული დაყოფის საკითხი; დღეს არსებული საქართველოს კანონმდებლობა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მხოლოდ ერთ, აჟარის (ზემო აფხაზეთი) მუნიციპალიტეტს მოიხსენიებს ოფიციალურად. დაუზუსტებელია, ბზიფის კარსტულ მასივზე არსებული, მსოფლიოში უღრმესი უფსკრულების მონაცემები, საქართველოში ყველაზე ღრმა ტბის თანამედროვე სიღრმე, მსოფლიოში ყველაზე მოკლე მდინარე რეპრუას სტატუსი, დაცული ტერიტორიებისა და ბუნების ძეგლების მდგომარეობა, ფლორისა და ფაუნის სახეობრივი შემადგენლობა და სხვა.

პრეზენტაციის მიზანია ხაზი გაუსვას აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ გეოგრაფიულ პრობლემებს და წარმოაჩინოს მათი პერსპექტივები, რეგიონში არსებული მდგომარეობის, ინფორმაციის სიმცირისა და სხვა მრავალი ხელის შემშლელი ფაქტორის მიუხედავად.